პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 221 (19368) ◆ ოთხშაბათი, 25 სექტემბერი, 1985 წელი, ◆ ფასი 8 კაპ.

ახალი ამოცანების დონეზე

დიდი ინტერესით...

მოწონებით აღიქვამს მილიონობით საბჭოთა ადამიანი შეხვედრას, რომელიც სკკ ცენტრალურ კომიტეტში გაუმართიათ სტახანოვური მოძრაობის ვეტერანებს, წარმოების მოწინავეებს, და ნოვატორებს. შეხვედრაზე გაიმართა პარტიის ხელმძღვანელობა და კომუნისტ მუშათა, მშრომელ ადამიანთა, გულახდილი, საქმიანი სკკ-ბაასი იმის შესახებ, თუ როგორ გამოვიყენოთ უკეთ სოციალისტური შეჯიბრების მამოძრავებელი შესაძლებლობანი დღევანდელ დღის გადაუდებელი ამოცანების გადასაწყვეტად. პარტია წარმოების ინტენსიფიკაციის და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე დაიდგა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კურსს. ეს კურსი სრულად ითვალისწინებს და გამოხატავს მშრომელთა მისწრაფებებსა და განწყობილებას.

სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის სიტყვაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო პროფკავშირული ორგანიზაციების ამოცანებს. თუ პროფკავშირთა საქმიანობის წმიდათაწმიდა მხარეა მშრომელთა სოციალური და კულტურული საჭიროებების, შრომისა და ყოფა-ცხოვრების, დასვენების პირობებისათვის ზრუნვა, თქვა ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა, ამ ამოცანებს წარმატებით ვერ გადაიწყვეტთ შრომის უდიდესი ნაყოფიერების, წარმოების დისციპლინისა და ორგანიზებულობისათვის სისტემატური და შეუპოვარი ბრძოლის განუხრაკელელად.

საჭიროა კიდევ უფრო გაძლიერდეს პროფკავშირული და სამეურნეო ორგანოების პასუხისმგებლობა შეჯიბრების ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფის, ეკონომიკური დასაბუთებისათვის, ბათანამრომლის დაძლევისა და გამარჯვებულთა სტიმულირებისათვის.

საბჭოთა ადამიანები ემზადებიან ღირსეულად შეხვდნენ სკკ XXVII ყრილობას. სამმის წარმატებას, მიმდინარე წლისა და მთლიანად ხუთწლედის გეგმების ბედს საბოლოო ანგარიშით წყვეტს მშრომელი კოლექტივი, კეთილსინდისიერი მუშაობა, საერთო კეთილდღეობისათვის. მკაცრად დაიცვას დისციპლინა, გამოიჩინოს პასუხისმგებლობა და ინიციატივა, ღვიძლად აღიქვას სახელმწიფოს ინტერესები — აი, რა მოეთხოვება წოველ ჩვენგანს.

ჯ. სალიაშვილი,
საქართველოს ხე-ტყის, ქაღალდისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე.

სტიმული და მიღწევები

სტახანოვური მოძრაობის ტრადიციები დღისაც ცოცხლობს და სტიმულს გვაძლევს მუშაობაში. სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის მიერ სტახანოვური მოძრაობის ვეტერანებთან, წარმოების მოწინავეებთან და ნოვატორებთან შეხვედრაზე სკკ ცენტრალურ კომიტეტში წარმოთქმულ სიტყვას დიდი ინტერესით გაეცნო თბილისის ამრეშუმის საწარმოო გაერთიანების მთელი კოლექტივი. ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა თქვა: „უშუალის განწყობილება — ეს ქვეყნის სიმტკიცეც არის. მოდით, ამხანაგებო, მეტი ყურადღება მივაქციოთ მსუბუქ მრეწველობას. იქ ხომ ქალები არიან...“ ამ სიტყვებმა კიდევ უფრო აღგაფრთოვანა და გაერთიანების მშრომელები დაგვრაზმა სახელმწიფო გეგმების შესრულებისათვის. ჩვენი საწარმო რესპუბლიკაში ერთ-ერთი მოწინავეა. აქ თითოეულ საამქროში, უბანზე, ცალკი, ბრიგადაში ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება სკკ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის. ახლა მთელი კოლექტივი შრომობს დეკემბრის „ყრილობის წელი აღვნიშნოთ სანიმუშო შრომითა და დისციპლინით“. გაერთიანებაში სტაბილურად ყოველთვიურად მნიშვნელოვანი გადაჭარბებით სრულდება როგორც სახელმწიფო დავალებანი, ასევე შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გეგმები.

ჩვენი მშრომელების გადაწყვეტილებაა მომხმარებელს წლიური გეგმის გადამეტებით მილიონი მანეთის პროდუქცია მიაწოდონ.

ე. ურთაშვილი,
მჭესელი, ლენინის ორდენოსანი, სტახანოვური მოძრაობის ვეტერანი.

მაგალითი გვასწავლის, მაგალითი გვიხსნის



ამ სათაურით 24 სექტემბერს გაზეთ „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრიაში“ დაიბეჭდა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადის, „სოციალისტური შრომის გმირის ო. ლომიძის წერილი:

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ამ რამდენიმე დღის წინათ სკკ ცენტრალურ კომიტეტში, მოეწყო შეხვედრა სტახანოვური მოძრაობის ვეტერანებთან, წარმოების მოწინავეებთან და ნოვატორებთან. ო. ლომიძეს წილად ხვდა დიდი პატივი ყოფილიყო ამ შეხვედრის მონაწილე.

თითოეული ჩვენგანი, — წერს ო. ლომიძე, — დიდი ინტერესითა და აღელვებით ვისმენდით ამხანაგ მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვის სიტყვას, სტახანოვური მოძრაობის ტრადიციებზე, რომლებიც აჭეშდაფდ ღირსეულად ვითარდება და გვეხმარება ახალი, მსმენელისა და ბაზრის ... ლტურისა და ... ...

პარტიული ცხოვრება;
მიმდინარეობს ანგარიშგება-არჩევნები

სამუშაო წუთის ფასი

თელავის ძიფსაღებ-საგრეხი ფაბრიკა 1986 წლის მაისში არსებობის 60 წლისთავს იზეიმებს. განსაკუთრებული ფაბრიკის კოლეტივისათვის წლევანდელი წელიწადი: კომუნისტებისა და მთელი კოლეტივის ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა ხუთწლიის საგეგმო დავალების შესრულება სახელწოდის 7 ნოემბრისათვის უსაკოკნ.

ეს მისწრაფება, ეს სურვილი ნათლად წარმოჩნდა საგრეხი სამკერის პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებზე. აქ პარტბიუროს მიერ განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის ანგარიშით წარსდა პარტბიუროს მდივანი სოფიკო ქანაშვილი.

საამქროს პარტბიურო, მისი 16 კომუნისტისაგან შემდგარი პარტიული ორგანიზაცია წარმოადგენს საამქროს 115-კაციანი კოლეტივის ბერთეს, მის ავანგარდს. კოლეტივი კი ძირითადად ახალგაზრდულია.

საამქროს მიმდინარე ხუთწლიდის დავალებები მთლიანად გაანაღდა ჯერ კიდევ 23 აგვისტოს. მარტო მეორეთმეტე ხუთწლიდის დამაგვირგვინებელი წლის 7 თვეში გამოუშვა 41163 კილოგრამი საგრეხი ძაფი და გეგმა 111 პროცენტით შეასრულა. კრება № 429/4 გეგმით უნდა გამოშვებულიყო 35 300 კილოგრამი, გამოშვებულია 39 763 კილოგრამი, რაც დავალების 112,6 პროცენტს შეადგენს. ასევე გადამეტებითაა გამოშვებული მისაყსელი, ნაგრეხი აბრეშუმის ძაფი. ნედლეულის ხარჯვაში მიღებული ეკონომია 81 კილოგრამია.

მაგრამ საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა ცოტა ილაპარაკეს მიღწეულებზე, რადგან შიძლებოდა უფრო მეტის და უკეთ გაკეთება. ამიტომ გულახდილი მსჯელობა გამართეს გამოუყენებელ რეზერვებზე, ნაკლოვანებებზე, პირველადან ამბილეს ყველი ის ხარვეზი, რაც მუშაობაში გაჩნდათ. კრებაზე ითქვა, რომ პარტბიურო და საერთოდ კომუნისტები ნაკლებად ზრუნავენ, რომ ახალგაზრდები მოამზადონ სკკპ რიგებში შესასვლელად, პარტიული ბირთვის გასაძლიერებლად, ეს მაშინ, როდესაც საამქროს კოლეტივში ამის დიდი შესაძლებლობებია.

განსაკუთრებული მსჯელობის საგანი გახდა მომჭირნეობისა და ყაირათიანობის საკითხი. რა დასამალია, ზოგიერთ მუშას, მათ შორის კომუნისტებსაც. მიუხედავად იმისა, რომ გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ, გადაბარჯვა აქვთ ნედლეულის მოხმარებაში, ამის გამო მკაცრად მოეკითხთ კომუნისტებს ო. კეკლაშვილს და მ. ჭარატიელს, რომლებსაც გეგმები შესაბამისად შესრულებული აქვთ 165,5 და 155,2 პროცენტით, ხოლო ნედლეული გადაბარჯეს: პირველმა 10, ხოლო მეორემ 112 კილოგრამი. ამასთანავე გაანალიზდა ამ ნაკლოვანებათა ობიექტური და სუბიექტური მიზეზები და დასახა ღონისძიებანი შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებისათვის.

საამქროს ქვეოსტატმა ომარ კვეღოშვილმა ყურადღება გამახვილა დისციპლინის საკითხებზე, რადგან ჯერ კიდევ შეინიშნება არასასატანო მიზეზებით სამუშაოს გაკლებენები. ზშირია შემთხვევა, როცა მუშა უმიზეზოდ აჭერებს დაზგას და საამქროდან გადიოდის. ეს განსაკუთრებით ხდება ადამიანების და ხელფასების გაცემისას. რაზე მეტყველებს ეს? იმაზე, რომ მუშამ ჯერ კიდევ არ იცის წუთის ფასი.

ასევე არასაკმარისი კონტროლი ხორციელდება ძაფსახვევი საამქროდან მიღებული ნედლეულის ხარისხზე, რაც ბევრ ადგილზე იწვევს.

საამქროს ბრიგადირ-ზეინკალმა, რაციონალიზატორმა გივი ქოლეგემა ილაპარაკა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დიდ მნიშვნელობაზე. ფაბრიკის დაზგა-დანადგარებისათვის ძნელად ხელმისაწვდომია სათადარიგო ნაწილები, რამდენადაც, ისინი ჩვენს რესპუბლიკაში არ მზადდებიან.

კრების მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს მუშათა საოფიცსოკოვრებო და სამუშაო პირობების გაუმჯობესების პრობლემებს. ბოლო პერიოდში პარტიის თელავის რაიკომის ინიციატივით ამ მხრივ ზოგი რამ გაკეთდა. შემუშავდა პროგეკტი და 1986 წლიდან დაიწყება საცხოვრებელი ბინების მშენებლობა, ძირითადი საამქროს მუშებს დაუწესდათ ერთჯერადი უფასო კვება, მუშებისათვის გაკრავული შეღავათები ვრცელდება სპბპშეო ბაგა-ბაღში და სხვ.

კომუნისტებმა დადებითი შეფასება მისცეს ლოთობისა და ალკოჰოლიზმის, ერიძომესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლის შედეგებს. მაგრამ ისიც აღინიშნეს, რომ ამ მხრივ მუშობა უნდა გაძლიერდეს განსაკუთრებით ძირეულ რგოლებში.

კრებამ პარტბიუროს მიერ გაწეული მუშობა შეფასება დამაკმაყოფილებლად და მიიღო დადგენილება, რომელშიც დასახულია საამქროს ეკონომიკის გადაჭის პრაქტიკული ღონისძიებანი.

დ. გერგიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ერთ მიწაზე, ერთი ცის ქვეშ

ერთნაირ პირობებში სხვადასხვა შედეგი არ უნდა იყოს

ავადგოლოთ მიწათმოქმედების კულტურა

მიწა საერთოდ ძალზე მგრძნობიარეა რეაგირებს იმაზე, თუ როგორ ეკიდებიან მას. იგი ვერ იტანს გულგრილობასა და უყაირათობას, ბრაზად გადეჩანება რომ მოპყვება ხოლმე. სამაგიეროდ მადლიერებით, ამსგავდ „უნაზოდ“ რებს მოწათმოქმედს მზრუნველობასა და ყურადღებას, ნამდვილ სიყვარულს უხვად უნაზოდ-ურებს მას მისივე შრომის ნაყოფით, — ძალზე ნათლად ითქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აგვისტოს პლენუმზე. ეს რომ კარგად გავიაზროთ, გადაეშეკიტეთ ერთად გავეცნობოდით ერთ მიწაზე და ერთი ცის ქვეშ მომუშავე ორ სოფელს.

შამგონა და ახალი ბასსუმანი შეზობელი სოფლებია, რომლებიც ერთნაირ ბუნებრივ პირობებში არიან. მაგრამ სულ სხვა შედეგი აქვთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებასა და დამზადებაში. ერთი ძლიერი საზოგადოებრივი მეურნეობაა, მეორე — ჩამორჩენილი. აღრე ორივე ჩამორჩენილი იყო. ოთხი-ხუთი წლის წინათ ორივეგან ახალი თავმჯდომარეები აირჩიეს. ერთმა თავიდანვე აუღო ალღო შექმნილ მდგომარეობას და სულ მოკლე ხანში ორჯერ საკავშირო და ერთხელ რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა. კოლმეურნეობა გარდამავალი წითელი დროშებით დაჯილდოვდა; მეორეკ კი, მართალია, წინამორბედთან შედარებით გაუჯანსაღებია მაგრამ მდგომარეობა არასახარბიელო დარჩა.

აი, რა კონტრასტებია ზუგდიდის რაიონის შამგონის კიროვისა და ახალი ბასსუმნის გრ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობებს შორის:

თვალს ახარებს, როცა ხედავ, რა დამაჯერებელ ძერებს მიაღწიეს შამგონელმა მოწათმოქმედებმა. კოლმეურნეობაში მეთორმეტე ხუთწლედში საგრძნობლად გაიზარდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების მაჩვენებლები. 1980 წელთან შედარებით 1984 წელს შრომის ნაყოფიერება გაზრდილა 47 პროცენტით, რენტაბელობის დონე — 38 პროცენტით, რეალიზაციიდან ამონაგებმა თანხამ მილიონ 150 ათასი მანეთიდან მილიონ 601 ათას მანეთს, ხოლო კაცდღის ანაზღაურებამ 8 მანეთისა და 31 კაპიკის ნაცვლად 11 მანეთისა და 10 კაპიკს მიაღწია. მოგება 272 ათასი მანეთიდან 438 ათას მანეთამდე გაიზარდა. ყოველივე ეს მოჩანს ხარისხის გაუმჯობესებაში, ინტენსიფიკაციისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად.

ჩაი რაიონის შემოსავლის ძირითადი წყაროა. ეს მომგებიანი კულტურა დიდ გარჯას მოითხოვს, მაგრამ უხვად ანაზღაურებს გაწეულ შრომას. შამგონელმა მეჩაიეებმა თავიანთი სიტყვა თქვეს ამ დარგის განვითარების საქმეში. ყოველწლიურად სულ უფრო მეტ ჩაის კრეფენ. მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარი ის გახლავთ, რომ ჩაის ხარისხის გაუმჯობესებით სოლიდურ თანხას იღებენ. ერთი ცენტნერის თვითღირებულება, გეგმასთან შედარებით, მანეთითა და 8 კაპიკით შეამცირეს. ხუთწლიანი გეგმა-ვალდებულება წლეულს 13 მაისს შესრულდა.

ზოგიერთი საზოგადოებრივი მეურნეობის ხელმძღვანელი ჩაის კულტურის შემოსავლით ამაყოფილდება და სხვა დარგებს ნაკლებ ყურადღებას აქცევს. მაგრამ შამგონაში ასე როდი. აქ ყველა დარგი რენტაბელური გახდა. ამას, უპირველესად, მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებით მიაღწიეს. ავიღოთ თუ ვნებავთ მევენახეობა. შარშან 75 ცენტნერი ყურძენი მიიღეს ჰექტარზე. 1980 წელთან შედარებით საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 32 ცენტნერით გაიზარდა; ცენტნერი ყურძნის წარმოება საგეგმოთან შედარებით 29 მანეთით და 18 კაპიკით შემცირდა. მეთორმეტე ხუთწლედის დავალება 4 წელიწადში შესრულდა,

სამარეკელე სიმინდის წარმოებისა და დამზადების ხუთწლიანი გეგმა შესრულდა 4 წელიწადზე და ისიც გადაჭარბებით. ამ ხნის განმავლობაში ჰექტარობრივი მოსავლიანობა 22 ცენტნერით გაიზარდა. შარშან აქ ჰექტარზე 47 ცენტნერი მიიღეს. თვითღირებულება 3 მანეთითა და 81 კაპიკით შემცირდა.

მეცხოველეობისათვის საკუთარი წარმოების წვნიანი და უხეში საკვების დამზადებას. კოლმეურნეობის ახალმა თავმჯდომარემ ა.ყ. წყაროზიან დიდი ყურადღება მიაქცია, რამაც ძირეული ცვლილებები მოახდინა მეცხოველეობის განვითარებაში და მის რენტაბელობა ფრაზებიდან ეკონომიკურ ფაქტად გადაქცეულა. მარტო 1984 წელს (წინა სამ წელზე რომ არაფერი ვთქვათ) მეცხოველობის პროდუქტების რეალიზაციით 23 ათასი მანეთი მოგება ნახეს. საფურაეე ძროხის წველადობამ 3 ათას კილოგრამს გადააჭარბა. სუქებაზე მყოფი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სადღეღამისო წონამატებამ 730 გრამს, ხოლო ღორისამ 350 გრამს მიაღწია. შესრულდა რძისა და ხორცის წარმოების მიმდინარე ხუთწლედის საგეგმო დავალებები. ისიც აღსანიშნავია, რომ ახალი თავმჯდომარის არჩევამდე კოლმეურნეობას 800 ათასი მანეთი სახელმწიფო ვალი ჰქონდა. ამჟამად ბანკში 750 ათას მანეთზე მეტი საკუთარი სახსრები აქვს.

რას გვიჩვენებს შეზობელი ახალი ბასსუმნის კოლმეურნეობის ეკონომიკური და სამეურნეო ანალიზი?

მართალია, კოლმეურნეობაში 1972 წელთან შედარებით ორმაგად და უფრო მეტად გაზრდილია ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები, რაც ფინანსურად აკმაყოფილებს საკუთარი სახსრებით მეურნეობის მოთხოვნებს და აქ არ სარგებლობენ სახელმწიფო სესხებით და დოტაციებით, მაგრამ არსებულ შესაძლებლობებს მაქსიმალურად ვერ იყენებენ. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ზ. ქადარიას ნაკლები გამოცდილება აქვს, ვიდრე შამგონის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ა.ყ. წყაროზიას. განსთქვამთ ეკონომისტმა წყაროზიამ წარმოების ეკონომიკა, თითოეული კაპიკის ყადრი იცის. ამ კაცმა გონიერულად იმუშაკა, ჯარგად ანწყო. საქმე.

ზ. ქადარიას პირველად შევხვდით. ახალგაზრდა ენერგიული ქალიშვილს საქმისაგან შეხედულება ჰქონდა. ზაირა ქადარია ხუთი წელია უკვე თავმჯდომარედ მუშაობს. ამ სოფელში ყველა კარგად ცხოვრობს, კარგი ოდა-სახლები, ბიბლიოთეკა ეზოები აქვთ. ერთი სიტყვით, ლამაზი სოფელია, კოლმეურნეობა კი სუსტი.

ყოლმეურნეობა საბჭოთა კავშირის ბერის, ადგილობრივი ჭკვიერის გრიგოლ სხულუხიას სახელს ატარებს. სამამულო ომში გაწეულმე ახალგაზრდა გრიგოლი რამდენიმე წელს კოლმეურნეობას თავმჯდომარეობდა. გრიგოლის მეუღლე სამაგალითოდ შრომობდა და უძღვებოდა ბრიგადას. ქალიშვილი ვინარი სხულუხია დიდი გარჯით აქ გახდა სოციალისტური შრომის გმირი. და ასე სახელოვანი კოლმეურნეობა და შრომამოყვარე ადამიანები დღეს ერთ ადგილს ტკეპნიან, შესაძლებლობის მაქსიმუმს ვერ აკეთებენ, მხარში არ უდგანან კოლმეურნეობის ახალ თავმჯდომარეს და შედეგიც ურთგო აქვთ.

— ჩვიან ჩავუკვირდი მეცხოველეობაში ჩამორჩენის მიზეზებს, — ჩვენიჩა ზაირა ქადარიან, — 142 მსხვილფეხა რქიან საქონელს და მათ შორის 30 საფურაეე ძროხას ფერმის გაგგე, ზოოტექნიკოსი, ლაბორანტი, აღმრცხველი, ვეტექიმი ესსახურებოდა და ისიც — უგერგილოდ. გაეუქმეთ აღმრიცხველის, ლაბორანტის, ზოოტექნიკოსის შტატები, ხოლო ვეტექიმი ნახევარ შტატზე დაეტოვეთ. ახლა მეტ მონდომებასა და საქმით დაინტერესებას იჩენენ ფერმის სპეციალისტები, ვიდრე აღრე. ასევე ჩავუკვირდით სხვა საქმეებს. პროდუქტების თვითღირებულების გადვირების გამოშვნვე მიზეზებს.

ოთი კოლმეურნეობის კონტრასტებს განმარტავს აგრონომრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე ბ. ლეშუარა.

— ჩამორჩენილია და მოწონავს, სუსტია და ძლიერი საზოგადოებრივი მეურნეობების პრობლემა დიდი ხანია დგას და ჩვენი რაიონის სინამდვილეშიც ეს პრობლემა ჯერჯერობით საბოლოოდ გადაუწყვეტელია. ბევრია იმის მაგალითი, როდესაც ერთნაირი ნიადაგობრივი და რელიეფური პირობების მქონე მეზობლად განლაგებულ საზოგადოებრივ მეურნეობებს განვითარების სრულიად განსხვავებული ტემპები აქვთ. ერთგან დიდი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა, მეურნეობებში დაკმაყოფილებული მუშაკის შრომითი დაკვირვება, ანაზღაურება. უკეთ ხორციელდება სოფლის განვითარების სოციალურ-კულტურული ღონისძიებანი, მეორეგან კი ყოველივე ეს სუსტად ხორციელდება.

შამგონისა და ახალი ბასსუმნის „კოლმეურნეობები ერთიმეორის. გვერდით მდებარეობენ. სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიც თითქმის ერთნაირი მოცულობისა აქვთ. ძირითადი დარგია მეჩაიეობა, მაგრამ მისდევენ სხვა მონაწილეთა გამოსულებმა, მთელმა მისმა მიმდინარეობამ ცხადყო, რომ საქართველოს ისტორიკოსები ბრალეულნი ბრალეულნი ბრალეულნი

ე. ა. შევარდნაძის გამოსვლა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-40 სესიის პლენარულ სხდომაზე გამოვიდა სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე.

ნიუ-იორკი, 24 სექტემბერი. (საკადესი). დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-40 სესიის პლენარულ სხდომაზე გამოვიდა სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე.

ოთხი ათწლეული გავიდა მას შემდეგ, თქვა მან, რაც თავი-სუფლებისმოყვარე ხალხებმა დაამარცხეს გერმანიის ფაშიზმი და იაპონის მილიტარიზმი, დამთავრდა მეორე მსოფლიო ომი. ორმოცი წელიწადია არსებობს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რომლის შექმნაც დიადი გამარჯვების ბუნებრივი შედეგი გახდა, და რომლის საქმიანობასაც ხალხებმა მნიშვნელოვანწილად დაუკავშირეს ახალი ომების თავიდან აცილების იმედი.

დღეს შეგვიძია დიდი კმაყოფილების გრძნობით ვთქვათ, რომ ეს იყო ორმოცი წელიწადი მსოფლიო ომების გარეშე. მტკიცე მშვიდობის ყველაზე დიდი იმედები ჩაისახა 70-იან წლებში, რომლებიც ისტორიამ ფაქიზად შენელების ნიშნით შევიდა. მას საფუძველად ედო საყოველთაო აღიარება იმისა, რომ ბირთვულ ხანაში დაუშვებელია პოლიტიკური და იდეოლოგიური მიზნების მიღწევა ომის მეშვეობით, რომ არამარალზომიერი და სახიფათოა პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს ერთი სახელმწიფოს მიერ მეორეზე, ერთი სოციალური სისტემის მეორე მეორეზე სამხედრო უპირატესობის მიღწევას.

სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები, ბევრი სხვა სახელმწიფო სამართლიანად აფაყობენ იმით, რომ ისინი დაჰაბულების შენელების ხუროთმოძღვრები და ინჟინრები იყვნენ, აღნიშნა სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა.

მაგრამ 70-იანი წლების დამლევ-80-იანი წლების დამდეგს მსოფლიოში კვლავ გაჟაქტიურეს საქმიანობა ის ძალებმა, რომლებიც არასდროს ყოფილან დაძაბულობის შენელების, პოლიტიკის მომხრენი, ახლა კი ცდილობენ გააჯარწყლონ მისი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი. ამის შედეგად საერთაშორისო ურთიერთობის სისტემაში ბევრი რამ მოიშალა, ბევრად გაიზარდა ომის საფრთხე.

ყველაზე დიდ საფრთხედ ჩვენ ის მიგვაჩნია, რომ გამალებულმა ბირთვულმა შეიარაღებამ, ასე ვთქვათ, ახლი სტარტი აიღო და წინ გაიჭრა. ამას ემატება კოსმოსური სივრცეზე გამალებული შეიარაღების გავრცელების საფრთხე. რეალური ხდება იმის შესაძლებლობა, რომ გამალებულ შეიარაღებას მიენიჭოს კატასტროფის ფუნქციები, შეუქცევადი ხასიათი. საბოლოო ანგარიშით — ეს არის ბირთვული კატასტროფის გზა.

შეშფოთებას იწვევს ისიც, რომ ბოლო დროს ვერ მოხერხდა ვერც ერთი რეგიონალური კონფლიქტის მოწესრიგება, ვერც ერთი სამხედრო დაძაბულობის კერის ჩაქრობა. ამასობაში კი „ადგილობრივი“, მეტწილად გამოუცხადებელი ომების ცეცხლი იწრიალ ათიათასობით და ასიათასობით დამიასს.

გამალებული შეიარაღების არც ერთი რაუნდი არ წამოწყებია საბჭოთა კავშირს. ჩვენ ვქმნიდით და ვქმნით შეიარაღების ამა თუ იმ სისტემას მხოლოდ მეორე მხარის შესაბამისი მოქმედების პასუხად, ვინაიდან ვიჩხენით კანონიერ მზრუნველობას ჩვენი უშიშროებისათვის, ჩვენი მოკავშირეებისა და მეგობრების უშიშროებისათვის, ჩვენივდიით საერთო საერთაშორისო უშიშროებისათვის.

საბჭოთა კავშირის ბრალი როდია, რომ მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში ჩნდება და ჩაღდება ლოკალური კონფლიქტები. თუ ჩვენ რაღაცაში მაინც მიგვიძღვის „ბრალი“, ეს ის არის, რომ ბუდან ვიდექით და ვდგავართ იმ ხალხების მხარეზე, რომლებსაც იმპერიალიზმი ემუქრება, იმ სახელმწიფოების მხარეზე, რომელთა სუვერენიტეტსა და საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსაც ხელყოფს იგი.

საერთაშორისო ურთიერთობის ახლანდელი კრიზისული მდგომარეობისათვის პასუხისმგებლობა აკისრია სახელმწიფოთა მეორე ჯგუფს — ამერიკის შეერთებულ შტატებს და მის ზოგიერთ უახლოეს მოკავშირეს. და ის ახალი სამხედრო პროგრამები, რომლებიც დღეს უკვე არა მარტო ჩვენი პლანტინტ ხმელეთს, ოკეანეასა და ატმოსფეროს, არამედ კოსმოსურ სივრცესაც მოიცავს, — მათი პროგრამებია.

სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობაში ჩვენ შუდამ ვანაკუბთ პროიორიტეტს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, ომის საფრთხის თავიდან აცილების გზების ძიებას. ამ კონტექსტით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მ. ს. გორბაჩოვის ვიზიტს საფრანგეთში.

ჩვენ გვინდა ნორმალური, მშვიდი ურთიერთობა დავამყაროთ ამერიკის შეერთებულ შტატებთანაც. სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის კონფრონტაცია არსებრივს დაწყებული ჩვენი ინიციატივით. არც ახლა გვგონია, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში შექმნილი დაძაბულობა ეროვნული ინტერესების ფატალური შეჯახებით იყოს გამოწვეული. ამიტომ ვფიქრობთ, რომ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელთა მომავალი შეხვედრის წარმატებით დაინტერესებული უნდა იყოს ორივე მხარე. სწორედ ასე უდგება შეხვედრას საბჭოთა კავშირი. თუ როგორ მოეკიდება საქმეს მეორე მხარე — დროსა.

საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრის ცენტრში, ჩვენი რწმენით, უნდა იყოს დღეკანდელობის უმთავრესი პრობლემა — პრობლემა, რომლის გადაჭრაზე ნამდვილად არის დამოკიდებული ომის საფრთხის მტკიცე შემცირება, საერთაშორისო ნდობის აღორძინება და სახელმწიფოთა ურთიერთობების ბევრი სხვა აქტუალური საკითხის გადაწყვეტის წინამძღვრების შექმნა.

ეს გახლავთ კოსმოსში გამალებული შეიარაღების თავიდან აცილებისა და დედამიწაზე მისი შეწყვეტის, ბირთვული შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების, სტრატეგიული სტაბილურობის დამკვიდრების პრობლემა.

საბჭოთა კავშირმა, რომელიც მოწადინებულია ხელშემწყობი ატმოსფერო შეუქმნას შეიარაღების შეზღუდვა-შემცირების პროცესის განაგრძობა და საბოლოო ანგარიშით — ბირთვული იარაღის მთლიან და საყოველთაო ლიკვიდაციას, უკანასკნელ ხანს არსებითი ნაბიჯი გადადგა ცალმხრივი წესით.

ეს გახლავთ გადაწყვეტილება — არ გაიტანოს კოსმოსურ სივრცეში თანამეზურსაწინააღმდეგო იარაღი, სანამ ასეთი ნაბიჯს არ გადადგამს შეერთებული შტატები. სამწუხაროდ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა არარაფი ჩაგდო პოლიტიკური და სამხედრო სტაბილურობის ინტერესები და ამ ეოტა ხნის წინათ მოაწყო თანამეზურსაწინააღმდეგო იარაღის გამოცდა კოსმოსურ სამიზნეზე.

ეს გახლავთ აგრეთვე ევროპაში ჩვენი ინ სპასუხო ღონისძიებების შემდგომი განხორციელების შეჩერება, რომელსაც მივმართეთ დასავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყნის ტერიტორიაზე ამერიკული საშუალებების განთავსებასთან დაკავშირებით.

და, ბოლოს, ეს გახლავთ მორატორიუმის დაწესება ყოველგვარ ბირთვულ აფეთქებათა მოწყობაზე.

ჩვენი ქვეყანა ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების შესახებ ჟენევის მოლაპარაკების დაწყებისთანავე ბტკიცედ ისახავს ამ ორთხის თავიდან აცილების გზების ძიებას. ამ კონტექსტით დიდი ნდობა ენიჭება ამ. ს. ბუშის ბრალეულობა ეხებეზა ამ. ს. გორბაჩოვის ვიზიტს საფრანგეთში.

ჩვენ გვინდა ნორმალური, მშვიდი ურთიერთობა დავამყაროთ ამერიკის შეერთებულ შტატებთანაც. სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის კონფრონტაცია არსებრივს დაწყებული ჩვენი ინიციატივით. არც ახლა გვგონია, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში შექმნილი დაძაბულობა ეროვნული ინტერესების ფატალური შეჯახებით იყოს გამოწვეული. ამიტომ ვფიქრობთ, რომ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელთა მომავალი შეხვედრის წარმატებით დაინტერესებული უნდა იყოს ორივე მხარე. სწორედ ასე უდგება შეხვედრას საბჭოთა კავშირი. თუ როგორ მოეკიდება საქმეს მეორე მხარე — დროსა.

ამერიკელები სერიოზულად დაფიქრნენ გამალებული შეიარაღების, ახალ საჭიროებათა მასსობრივი მოსპობის იარაღის შექმნის შედეგების.

სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ყოველმხრივი ურთიერთობის განვითარების საჭიროება აღნიშნა „სოციალური პასუხისმგებლობისა“ ბრძოლა ეკონომიკურ ბრძოლაში“ ეკონომიკურ ბრძოლაში“ ეკონომიკურ ბრძოლაში“

40 წლის შემდეგ

იტალიაში მებრძოლი კიდევ ერთი ქართველი პარტიზანი

ჩვენი გაზეთის შარშანდელი სექტემბრის ნომერში ბატონ ბ. ბანძელაძესთან ერთ-ერთ „ორეული იტალიის მიწაზე“ მოთხრობილი იყო ლეზნიანთა ბანის ნაპირას ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლაში მგორული დაღუპული ქართველი პარტიზანის ამბავი. წერილს საფუძვლად დაედო რედაქციის სახელზე გამოგზავნილი გენერალ ი. ტიულენევის პირადი არქივის მასალა.

პუბლიკაციას მკითხველნი ფარული გამოეხმაურნენ. მივიღეთ ამ ბრძოლების უშუალო მონაწილეების, ყოფილი პარტიზანების — საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის, სოხუმელი შალვა სიგუას და ცაგერელი გურასიმე ცხვედიანის მოგონებანი, აგრეთვე ყოფილი იტალიელი პარტიზანის გიორგი ნასარიძის, დოცენტ აღელ სურგულაძისა და სხვათა წერილები.

გვესტუმრა ცაგერელი ექიმი თამარ ბენდუქიძე, რომელმაც გვიამბო, დიდ სამამულო ომში უგზოუკელოდ დაკარგული ჰყავს ორი ძმა — შალვა და გიორგი ბენდუქიძები და იქნებ გაზეთში მოხსენიებული შალვა ბენდუგიძე ჩემი ძმა არისო? (ვკრიბ დამახინჯება ხომ მაშინ ჩვეულებრივი ამბავი იყო).

ჩვენ ვეურჩიეთ, დაზუსტებისათვის მიემართა სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური არქივისათვის. მალე ცაგერის სამხედრო კომისარიატში სსრ კავშირის საგარო საქმეთა სამინისტროდან მიიღეს წერილი, რომელშიც იტყობინებიან, რომ სამჭოთა ძოქალაქე შალვა ბენდუგიძე დაიღუპა 1944 წ. 22 სექტემბერს პარმის პროვინციის დასახლება ლუზინიანი ბანაში.

ახლა კი უტყუარი იყო, რომ ნამდვილად ცაგერელმა შალვა ბენდუქიძემ სამშობლოდან შორს იტალიის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში ისახელა თავი.

მამაჩემი აკაკი ბენდუქიძე პედაგოგი გახლდათ, დედა — დასასტანსი, — გვიამბობს ქალბატონი თამარი, — ოჯახში სამნი ვიზრდებოდით. შალვა 1919 წელს იყო დაბადებული. ცაგერის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ერთბანს ლენტების რაიონის სოფელ ხოფურის დაწყებით სკოლაში მუშაობდა პედაგოგად, შემდეგ ბორის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე სწავლობდა. 1939 წელს სტუდენტობისას გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში. მათი ნაწილი ლვოვში იდგა. დაიწყო სამამულო ომი და ერთხანს კიდევ ვიღებდით მისგან წერილებს. შემდგომ წერილები შეწყდა. მამაჩემს მისი უგზოუკელოდ დაკარგვის ცნობა მიუღია, მაგრამ ღიდისათვის არ გაუბედავს. ჩემი მეორე ძმა გიორგიც მოსკოვის მისადგომებთან იბრძოდა, მისგან იმედით სავსე წერილები მოდიოდა, მალე გამარჯვებული დაგიბრუნდებითო, მაგრამ არც მას ეღირსა შინ მოსვლა.

მახსოვს, მამაჩემი იტყოდა: ეს ჭიშკარი უნდა ჩამოვხსნა, ამის ყურება აღარ შემიძლია. ავედან ბავიდნენ ჩემი ბიჭები და უკან აღარ დამბრუნდნენ, ორივე ეყოლა ბოლოს გულმოყვლილი.

ქალბატონმა თამარმა გადმომცა შალვას ფოტოსურათი ომის დაწყებამდე რომ გადაუღია და დედ-მამისათვის გამოუგზავნია.

გამოსმაფურნის ავტორები დაწერილებით მოგვითხრობენ იტალიაში საბჭოთა პატიოტების მოსახლეობის ბრძოლებზე. მალე ბენდუქიძე ჩემზე ათი-ოთრმეტი წლით უმცროსი იყო, — გვეუბნა შალვა სიგუა, — ასე 24-25 წლის ჭაბუკი გახლდათ, მეტად ზრდილი და გულადი მეომარი. ჩვენ ვორონეშელი სახელობის პარტიზანულ რაზმში შედგომდით, რომელმაც იტალიაში საკმაოდ გაიოქვა სახელი.

გ. ცხვედიანი იხსენებს, როგორ მიიღო მათმა რაზმმა 1944 წელს სექტემბერში იტალიის „სამართლიანობისა და თავისუფლების“ ბრიგადის პარტიზანთა რაზმის მეთაურის პაოლო დანენის ბრძანება, რომ თავს დასხმოდნენ ლეზნიანთ ბანაში დაბანაკებულ ფაშისტთა გარნიზონს, დაზვერვის ცნობით, იქ მაშინ ფაშისტთა მცირე რაზმი იმყოფებოდა, მაგრამ სინამდვილეში კარგად შეიარაღებული გარნიზონის ნაწილი აღმოჩნდა, რის გამოც პარტიზანებს მტერთან გაფფრებული ბრძოლა მოუხდათ.

ა. სურგულაძეს მოჰყავს ამონაწერი იტალიელი მწერლის ბ. გალენის წიგნიდან, რომელშიც ასახულია ამ ბრძოლების ერთ-ერთი ეპიზოდი და საბჭოთა პარტიზანების გმირული ბრძოლის მაგალითი: „გერმანელთა გარნიზონზე თავდასხმისას პარტიზანები წაწყდნენ მტრის დიდ შენაერთს. გაჩაღდა უთანასწორო ბრძოლა. პარტიზანები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რადგან სრული განადგურების საფრთხე დამუქრათ.

... მაშინ ერთმა საბჭოთა მეომარმა თითქმის ცალი ჰოზიციიდან მტერს ტყვიამფრქვევის ცეცხლი დაუნია. მალე მამაცი მებრძოლი უსულოდ დაეცა, მისი ადგილი. მეორემ დაიკავა, რომელსაც მესამე შეენაცვლა, მაგრამ... როცა ისიც დაიღუნა, ტყვიამფრქვევთან დადგა მეოთხე პარტიზანი გაშმაგებით რომ იბრძოდა, ვიდრე ტყვიებით მოლად დაცხრილული დაეცემოდა... მამაცური მოქმედებით ოთხმა საბჭოთა მებრძოლმა არეულობა შეიტანა გერმანელთა რიგებში, რამაც პარტიზანთა მთავარ ძალებს საშუალებდმის გაღწევის საშუალება მისცა“.

ვინ იყვნენ ეს გმირები? ავტორი მათს ვინაობასაც გვამცნობს: „ალექსი კოკუმაშვილის, ალექსი ყურინოვის, ივანე ჩოლაკუფლისა და შალვა ბენდუგიძის, აგრეთვე იტალიელი პარტიზანის პარიმო ავგუსტინის სახელები, რომლებიც ამ ბრძოლაში დაიღუნენ, ამოკვეთილია ლეზნიანთ ბანის სასაფლაოზე მათი გმირობის სახსოვრად ალმართულ ობელისკზე“.

ბრძოლის უშუალო მონაწილენი კი გვარწმუნებენ, ეს მებრძოლები ვანო ლოკოშვილი, ალექსი გოგოლიშვილი, შალვა ბენდუქიძე და ვ. გელაშვილი არიანენ.

აი, ასე გაიარეს იტალიაში გმირულად დაღუპული ცაგერელი ჭაბუკის შალვა აკაკის ძე ბენდუქიძის ვინაობა.

ლ. ხუბულური.

სიახლენი

ტყიბული. (საკ. კორ.). სოფელ სოჩხეთში — ცეკავშირის გამგეობის სახსრებით შენდება ჩაის მაკოლიგბრიკა. იგი სეზონში 1.500 ტონაზე მეტ ჩაის ფოთოლს გადაამუშავებს.

ბახჩისარაი. (საკ. კორ.). სოფელ მელეკედურში მდინარე ნატანების მარჯვენა ნაპირზე დამთავრდა ჩაის ფაბრიკის მშენებლობა. დანადგარმოწყობილობანი სამამეული წარმოებისაა.

ახალი ფაბრიკა ყოველ სეზონში 5 ათას ტონა ჩაის ნედლეულს გადაამუშავებს. იგი მოიმსახურება მელეკედურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობისა და ახლომდებარე სოფლების ჩაის მკრეფველებს.

ამბროლაური. (საკ. კორ.). სოფელ ბუგეულში საეკლესიოტაძეიოდ გადაეცა ორსართულიანი 60-ადგილიანი სკოლა-ინტერნატის შენობა, რომელიც 152-ე მოძრავ-მექანიზებული კოლონის კოლეტივმა ააგო. მისი მშენებლობა 160 ათასი მანეთი დაჯდა.

მოსწავლეთა განკარგულებაშია ფართო ნათელი სასწავლო და საცხოვრებელი ოთახები, ათი ათასი მანეთი ღირებულების ახალი ავეჯი.

მიეკვნა ეწერლის ოუბილეს

ონი. (საკ. კორ.) რაიონის საზოგადოებრივება ცხოველი ინტერესით ეშხადება ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავის აღსანიშნავად. ამ თარიღს მიეძღვნა თემატურად მრავალფეროვანი გამოფენა, რომელზეც ღიდი შემოქმედის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალებია წარმოდგენილი.

სამაგვარო ბიბლიოთეკაში ექსპონირებულია აგრეთვე მწერლის ის ნაწარმოებები, რომლებიც სასწავლო პროგრამაშია შეტანილი, გამოფენის თაოსნობა ეკუთვნის ეროვნულ ბიბლიოთეკა „ილია ჭავჭავაძე“, რომელიც უხვად არის დასურათებული მწერლის ბავშვობისა და ყრმობილდროინდელი ფოტოებით, მის ნაწარმოებებზე შექმნილი ილუსტრაციებით.

ნიგნის თარო

საქართველოს მწერალთა კავშირის გორის განყოფილება ბეგრ კარგ პოეტს, პროზაიკოსს, დრამატურგს თუ ლიტერატურათმცოდნეს აერთიანებს. მათ იცნობს მკითხველი რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთებითა და ცალკე გამოქვეყნებული კრებულებით.

გორელი პროზაიკოსია ზაურ წაქაძეც, რომლის მოთხრობების პირველი კრებული „ბამა“ ამ ორიოდე წლის წინათ გამოქვეყნდა. ახლახან კი გამომცემლობა „მერანმა“ გამოსცა ზაურ წაქაძის ერეული მოთხრობა „და ჰყვაოდა ხე ანეგარში“, რომელიც სინტეტრესოდ მოგვითხრობს ახალგაზრდა კაცის პირველ ნაბიჯებზე საზოგადოებაში.

წიგნის რედაქტორია მ. ჯაფარიძე, მხატვარი — ქ. ყიფიანი.

ცაგერი. (საკ. კორ.). სოფელ ბალეკეთურში მდინარე ტანტების მარჯვენა ნაპირზე დამთავრდა ჩაის ფაბრიკის მშენებლობა. დანადგარმოწყობილობანი სამამეული წარმოებისაა.

ახალი ფაბრიკა ყოველ სეზონში 5 ათას ტონა ჩაის ნედლეულს გადაამუშავებს. იგი მოიმსახურება ბალეკეთურის, ბალეკეთურ-ბეკეთურ-ბეკეთურ-ბ